თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. თელავი 2020 წლის 25 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** ა(ა)იპ ,,თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელი **ნათია ქარჩაიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ა(ა)იპ ,,თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე'' ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. ა(ა)იპ ,,თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე'' ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნათია ქარჩაიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებას კიდევ აქვს მოქმედების ერთი წლის ვადა, მაგრამ იწყება ახალი ხუთწლიანი პროექტი უმუშევრობის დაძლევასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა სამუშაო ფართით უზრუნველყოფის გარანტია. არასამთავრობო ორგანიზაცია პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს ქონების მიმართ.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: ა(ა)იპ ,,თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე'' ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებით გაჭირვებული ათსულიანი ოჯახი მოიპოვებს საცხოვრებელ ადგილს და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

მის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი